

OPEN MEDIA HUB

Supporting media professionals across the EU Neighbourhood area

STORY NAME:	Shepherd woman		
COPYRIGHT HOLDER:	Journalism resource Center / OPEN Media Hub		
COPYRIGHT NOTICE:	Ownership of content belongs to Journalism resource Center / OPEN Media Hub		
USAGE TERMS:	Share & Adapt - Attribution 4.0 International (CC BY 4.0) https://creativecommons.org/licenses/by/4.0/		
EDITOR'S NOTES:	None		
SOURCE:	Journalism resource Center - http://jrc.ge/ Open Media Hub – http://www.openmediahub.com <i>"This production was supported by OPEN Media Hub with funds provided by the European Union"</i>		
LANGUAGE:	Georgian	DURATION:	00:09:56
JOURNALIST:	Irma Charakashvili	EMAIL:	icharaqashvili@gmail.com
SLUGLINE:	Gender & Identity, Gender Inequality In Professions		
HEADLINE:	<p>This is the story about shepherd woman from the highland of Pshavi region. 23 years old Mariam was born and grew up in the village Tkhiliani, where being shepherd is considered as man's job. Despite stereotypes, she is happy to be the only woman shepherd in the village, which time by time is being left by the more and more locals. On weekend, Mariam works in Tbilisi, in the hospital as a nurse.</p> <p>In the story it is deeply discussed, how professions in Georgia are divided into genders and how employees are treated according to gender, including salaries. Experts provide their opinion, how inequality effects countries economic development.</p>		
DATELINE:	Tbilisi, Georgia – 22/04/2019		
SCRIPT:	<p>00:16-00:26</p> <p>After passing the snowy mountains and paths of Ukana Pshavi, we have reached the village of Tkhiliani. This path leads to the house of Kochashvili family.</p> <p>00:46-00:48</p> <p>Voice – Mom, I'm home.</p> <p>00:51-01:02</p> <p>After hours of travel, Mariam finally reaches her home village. she hugged her parents warmly, changed her clothes and prepared to help her father.</p> <p>01:02-01:04</p> <p>Voice – Let's go to feed the sheep.</p>		

01:10-01:21

Following the historical path, activities of men and women differed in the eastern mountains region. Man was a fighter and hunter, herded the cattle or sheep. All the rest of domestic activities were led by women.

01:22-01:24

Voice – Dad, I'm here, how can I help you. I can't open the door, what's wrong with it?

01:35-01:47

Today, the threshold between the activities of men and women is bit by bit vanishing. Mariam is a perfect example of this. She has been actively helping her family for years, herding the sheep.

01:47-02:04

Mariam Kochashvili- Women do everything here. Everything that man does can be done by woman as well. Any women can pile the wood, mowing the grass in summer, etc.

02:11- 02:20

Pasturelands are in several kilometers from the village. Sheep herding contains some dangerous issues, especially for the woman.

02:21- 02:36

Mariam Kochashvili- Summer time is easier to live in the village, then in winter. There are more people around. Winter time initiates many problems, such as heavy snowfall and road inaccessibility.

02:42- 02:50

Winter lasts for 7-8 months in Pshavi. It is getting dark earlier and animals often are coming down to the village, so it is dangerous to go outside.

02:54- 03:03

Money received from selling the sheep is the main source of income for the family. During the winter, sheep return to barn feeding and are rarely taken to the pastures.

03:28- 03:32

Mariam Kochashvili – We have more than a hundred sheep. They are fed in barns in winter and in pastures in summer. Pastures are located either in a half kilometer or in twenty km away. So, as they are not able to pasture, we feed them this way. We feed them with hay, wheat, barley, etc.

03:36 – 03:42

Mariam tells us how empty and abandoned is her village. Most of young people went to live in Tbilisi.

03:44- 04:05

Mariam Kochashvili – only few people live here, which is really painful. You can count the houses on the fingers of one hand. When you see that, there is no neighbour beside and only your house is lit up, it is really very painful.

04:06- 04:25

Unlike other young people, for a 23-years old young girl, it was not hard to live in the village. Her character and strong objectives helped her to fulfill her dreams; after the week of working in the village, she continues her endeavors in the city, on weekend. Mariam works as a nurse at Children’s Infectious Diseases Hospital.

04:26 – 05:44

Mariam Kochashvili – Road is way to long. About three hours. If there is heavy snowfall in winter, there is no transport. Roads are not properly cleaned from snow. Public transport can be reached three times per week, in summer and twice a week in winter.

05:45- 05:04

After graduating from school, many things influenced me, when I was choosing the profession. Principal objective was to open outpatient post in the village. She says that, unlike other young people do not return to the village after receiving education and she only images her future only in the village of Tkhiliani.

05:06- 05:40

Mariam Kochashvili - I chose to be the nurse, because it was hard times in Pshavi then. We had neither a doctor, nor a nurse. Outpatient post was hardly functioning. Not far away, there was an outpatient post, but until a person could reach it, he might survive or not. So, this helped me to decide to choose this specialization. I wanted to take part and help the locals.

05:42 – 06:11

Women shepherds are rare. There are some specific professions, which are approved by the society as more appropriate and natural for the women; gender segregation of professions is well spread even today. According to the UNDP survey accomplished in Georgia: “Public perceptions on gender equality in politics and business”, the following professions were named as the most appropriate for the women: teacher, pharmacist, doctor, journalist, bank operator.

06:12-06:18

These issues are also studied at the office of UN Women Georgia.

06:19 – 06:50

Ana Pashalishvili – Analyst of UN Women project.

There are well rooted men and women professions in society. Education, health care are the working fields of women; construction, communications, transport are strictly the fields for men. It is very interesting fact that remuneration of women in women’s field is significantly low and higher in men’s field.

06:528 – 06:59

Besides the difference between the professions, remuneration between the men and women on the same position is also very different.

07:02 – 07:282

Data:

	<p>Healthcare and Social Service activities –</p> <p>Difference between woman and man in healthcare and social services industry is 400-500 Gel.</p> <p>In administrative and other support services the difference is approximately 200 Gel.</p> <p>07:29 – 07:40</p> <p>NGO Partnership for Human Rights study the stereotype perceptions of employed men and women.</p> <p>07:41 – 08:00</p> <p>Ana Abashidze – head of NGO Partnership for Human Rights – Anyway, division in men and women professions is not right. Due to incorrect perceptions and stereotypes, man co-worker receives more salary, which demotivates the women to continue her career at specific place.</p> <p>08:02 – 08:12</p> <p>Organization also monitors influences and says that more than half of the population is unequally employed.</p> <p>08:12 – 08:28</p> <p>Ana Abashidze – head of NGO Partnership for Human Rights - if women are not given the chance to equally get the profession, be employed, create wealth used by all – children, men, elderly people, other members of society – it is impossible to talk about the economic development.</p> <p>08:58 – 08:38</p> <p>what are the government actions? Member Gender Council of the Parliament Nino Tsilosani –will answer the questions.</p> <p>08:39 – 09:22</p> <p>Nino Tsilosani – member of the Gender Council of the Parliament - The fact that more money is spent on road repairing in regions than on water supply repairing for providing the women with water – is extremely hard for this woman. Principal target is to satisfy the basic needs of women for allowing them to develop. We analyse that gender equality recovering and proper balance process is very slow.</p> <p>So, without specific moves, interference through either legislation or state policy, women might need many years to be as active and realized as the men - the second part of our population might be.</p> <p>09:28 – 09:39</p> <p>Mariam Kochashvili – Notwithstanding weak policy of government for strengthening these women in rural areas, Mariam successfully does both, herding the sheep in the village and studying nursing in Tbilisi. The road continues.</p>
<p>SHOTLIST:</p>	<p>Pshavi region, Georgia</p> <p>Tkhiliani village</p>

	Hospital in Tbilisi, Georgia
SCRIPT: (Original language)	<p>00:16-00:26</p> <p>უკანა ფშავის დათოვლილი მთების და გზების გავლის შემდეგ ჩვენ სოფელ თხილიანს მივადექით. ეს ბილიკი ქოჩაშვილების სახლამდე მიდის.</p> <p>00:46-00:48</p> <p>შუმი - დეე მოვედი</p> <p>00:51-01:02</p> <p>რამდენიმე საათიანი მგზავრობის შემდეგ მარიამი უკვე მშობლიურ სოფელშია. მონატრებულ მშობლებს მოესიყვარულა, გამოიცვალა და მამის დასახმარებლად მოემზადა.</p> <p>01:02-01:04</p> <p>შუმი - წამოდით ახლა ცხვარს ვაჭამოთ</p> <p>01:10-01:21</p> <p>ისტორიულად, აღმოსავლეთ მთიანეთში კაცის და ქალის საქმიანობა განსხვავდებოდა. მამაკაცი მეზრდოლი და მონადირე იყო, მწყემსავდა საქონელს ან ცხვარს. საოჯახო და სამეურნეო საქმეების დანარჩენ ნაწილს, კი ქალი უძღვებოდა.</p> <p>01:22-01:24</p> <p>შუმი - მამა მოვედი, რითი დაგეხმარო. კარებს ვერ ვაღებ რა სჭირს</p> <p>01:35-01:47</p> <p>დღეს კი ქალისა და კაცის საქმიანობებს შორის ნელ-ნელა მკვეთრი ზღვარი ქრება. მარიამი ამის ნათელი მაგალითია. უკვე რამდენიმე წელია ოჯახს აქტიურად ეხმარება და ცხვარს მწყემსავს.</p> <p>01:47-02:04</p> <p>მარიამ ქოჩაშვილი - აქ ქალი ყველაფერს აკეთებს, არ აქვს მნიშვნელობა ქალის საქმეა თუ კაცის. რასაც კაცი აკეთებს თითქმის იმასვე აკეთებს ქალი. ნებისმიერი ქალს შეუძლია ახლა რომ შემა დაჩეხოს, ზაფხულში ბალახი მოთიბოს და ა.შ. აქ მართლა არაფრით განსხვავდება ქალი კაცისგან. რასაც ერვევი ყველაფერი ადვილია, ამიტომ რომ ვთქვა რთულია და ვერ გავაკეთებ ასე არ არის.</p> <p>02:11- 02:20</p> <p>სამოვრები სოფლიდან რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული. ცხვრის მწყემსვა გარკვეულ საფრთხეებთან არის დაკავშირებული მითუმეტეს ქალისთვის.</p> <p>02:21- 02:36</p>

მარიამ ქოჩაშვილი - ზაფხულში ცხოვრება ზამთართან შედარებით უფრო იოლია. ხალხიც უფრო ბევრი არის. ზამთარში სხვადასხვა პრობლემები იჩენს თავს, როგორც არის დიდთოვლობა, უგზოობა.

02:42- 02:50

ფშავში ზამთარი 7-8 თვეს გრძელდება, ადრე ღამდება და ხშირად ნადირი სოფელში ჩამოდის, ამ დროს გადაადგილება სახიფათოა.

02:54- 03:03

ცხვრის რეალიზაციისგან მიღებული თნხა ოჯახის მთავარი შემოსავალია. ზამთრის პერიოდში ოჯახს ცხვარი საცხოვრებელი სახლთან ახლოს ბაგურ კვებაზე ჰყავს და სამოვარზე ცოტა ხნით გაჰყავს. არაფერი.

03:28- 03:32

მარიამ ქოჩაშვილი - ას სულ ცხვარზე მეტი გვყავს. ზამთარში ბაგურ კვებაზე გვყავს, ზაფხულობით სამოვრებზე გაგვყავს. ხან ნახევარ, ხანაც ორ კილომეტრ მანძილზე. ზამთარში რაკი ვერ ძოვენ ასე ვაჭმევთ. ვაჭმევთ თივას, ხორბალს, ქერს და ა.შ.

03:36 – 03:42

მარიამი გვიყვება როგორ დაცარიელდა მისი სოფელი. ახალგაზრდების უმრავლესობა კი თბილისში წამოვიდა საცხოვრებლად.

03:44- 04:05

მარიამ ქოჩაშვილი - ძალიან ცოტა ხალხი ცხოვრობს, რაც მართლა გულდასაწყვეტია. თითზე ჩამოსათვლელი სახლებიღა დარჩა. როცა ხედავ რომ გვერდით მეზობელი აღარ ცხოვრობს და ამხელა ტერიტორიაზე მარტო შენი სახლიდან გამოდის სინათლე, გულსატკეპნია.

04:06- 04:25

სხვა ახალგაზრდებისგან განსხვავებით 23 წლის გოგოსთვის სოფელში ცხოვრება დაბრკოლება არ ყოფილა. მისი ხასიათი და მიზანდასახულობა ოცნების ასრულებაში დაეხმარა მთელი კვირის განმავლობაში სოფლად ფიზიკური შრომა შაბათ-კვირას თბილისში გრძელდება, მარიამი უქმე დღეებში ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში ექთნად მუშაობს.

04:26 – 05:44

მარიამ ქოჩაშვილი - გზა საკმაოდ დიდია. დაახლოებით სამ საათამდე გიწევს მგზავრობა. ზამთარში თუ დიდი თოვლი მოვიდა ტრანსპორტი ვერ დადის. გზას თოვლისგან ისე ვერ წმენდავენ როგორც საჭიროა. ტრანსპორტი ზაფხულში კვირაში სამჯერ დადის, ზამთარში - ორჯერ.

05:45- 05:04

სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიის არჩევისას გავლენა ბევრმა ფაქტორმა იქონია. მთავარი მიზანი, სოფელში ამბულატორიის გახსნა იყო. ამბობს რომ სხვა ახალგაზრდებისაგან განსხვავებით, რომლებიც განათლების

მიღების შემდეგ სოფელში აღარ ბრუნდებიან, მას პირიქით საკუთარი მომავალი სწორედ თხილიანში წარმოუდგენია.

05:06- 05:40

მარიამ ქოჩაშვილი - პროფესიად ექთნობა იმიტომ ავირჩიე რომ ფშავში მაშინ ცუდი დრო იყო. არც ექიმი გვყავდა, არც ექთანი. ამბულატორია ძალიან ცუდად მუშაობდა. მოშორებით იყო ამბულატორია, მაგრამ სანამ იქ ადამიანი ჩავიდოდა ან ჩააღწევდა ცოცხალი ან არა. ეს იყო გადამწყვეტი მიზეზი რის გამოც ამ სპეციალობაზე ჩავაბარე. მინდოდა ჩემი წვლილი შემეტა და იქაურ მოსახლეობას დაეხმარებოდი. სოფელში გვაქვს ამბულატორია მაგრამ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. მინდა რომ შევაკეთო.

05:42 – 06:11

მწყემსებს შორის ქალებს იშვიათად შევხვდებით. არსებობს გარკვეული პროფესიები, სადაც საზოგადოება ქალის დასაქმებას უფრო ოპტიმალურად და ბუნებრივად მიიჩნევს, სქესის მიხედვით პროფესიათა დიფერენციაცია დღემდე საკმაოდ გავრცელებულ სტერეოტიპად გვევლინება. საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის „საზოგადებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ მიხედვით, ქალისთვის შესაფერისად შემდეგი პროფესიები დასახელდა: პედაგოგი, ფარმაცევტი, ექიმი, ჟურნალისტი, ბანკის ოპერატორი.

06:12-06:18

ამ საკითხებს სწავლობენ გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობაშიც.

06:19 – 06:50

ანა ფაშალიშვილი - გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ანალიტიკოსი. - საზოგადოებაში დღეს კვლავ ძალიან მყარად არის ქალის და კაცის პროფესიები დამკვიდრებული. განათლება ჯანდაცვა - ითვლება ქალის პროფესიად, მშენებლობა, კონმუნიკაციები, ტრტანსპორტი - მკვეთრად კაცის პროფესიებად ითვლება. ძალიან საინტერტესოა რომ იმ სექტორებში, რომლებიც ქალის პროფესიად ითვლება ანაზღაურება გაცილებით დაბალია, კაცების პროფესიაში კი მაღალი.

06:528 – 06:59

გარდა პროფესიებს შორის არსებული სხვაობისა, მნიშვნელოვნად გასხვავდება ერთსადაიმავე თანამდებობაზე დასაქმებული ქალისა და კაცის ანაზღაურება.

07:02 – 07:28

მონაცემები:

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების სფეროში 2016- 2018 წლებში ქალსა და კაცს შორის არსებულ ანაზღაურებას შორის სხვაობა 400-500 ლარია.

ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების მიმართულებით დასაქმებულ კაცებს ქალებზე დაახლოებით 200 ლარით მეტი ხელფასი აქვთ.

სხვა სახის მომსახურება - ქალსა და კაცს შორის ანაზღაურების მხრივ სხვაობა აქაც შეინიშნება რაც თანხობრივად დახლოებით 200 ლარს შეადგენს.

07:29 – 07:40

დასაქმების სფეროში ქალსა და კაცს შორის არსებულ სტერეოტიპულ მიდგომებს სწავლობენ არასამთავრობო ორგანიზაციაში „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“.

07:41 – 08:00

ანა აბაშიძე - „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი. - ნებისმიერ შემთხვევაში რა პროფესიაც არ უნდა სახელდებოდეს, არასწორია მათი დაყოფა ქალების და კაცების პროფესიებად. არასწორი შეხედულებების და სტერეოტიპების გამო, გვერდზე მყოფი ადამიანი უფრო მეტ ანაზღაურებას იღებს იმის გამო რომ სხვა სქესის წარმომადგენელია, ცხადია ქალს მოტივაციას უღდებს, რომ საქმიანობა კონკრეტულ ადგილას გააგრძელოს.

08:02 – 08:12

ორგანიზაციაში გენდერული გადანაწილების გავლენების გავლენებსაც აკვირდებიან და ამბობენ, რომ ნახევარზე მეტი მოსახლეობის არათანაბრი დატვირთულობა, პირდაპირ ანა

08:12 – 08:28

ანა აბაშიძე - „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი - თუ ამ ქალებს არ მიეცემათ თანაბარი შესაძლებლობა პროფესიის მიღების, რეალიზდნენ, დასაქმდნენ, შექმნან დოვლათი - რომლითაც სარგებლობს ყველა, ბავშვი, მამაკაცი, ხანდაზმული, საზოგადოები ყველა წევრი - ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ეკონომიკურ განვითარებაზე ვისაუბროთ.

08:58 – 08:38

რა კეთდება ქალთა გაძლიერებისთვის სახელმწიფოს მხრიდან? კითხვაზე პარლამენტის გენდერული საბჭოს წევრი ნინო წილოსანი გვპასუხობს.

08:39 – 09:22

ნინო წილოსანი - პარლამენტის გენდერული საბჭოს წევრი. - ის რომ რეგიონების გზების გაკეთებაზე გაცილებით მეტი თანხა იხარჯება და გაცილებით ნაკლები რომ ქალებს ჰქონდეთ სახლებში წყალი - ეს ამ ქალებისთვის ძალიან მძიმე ხვედრია. ამოსავალი წერტილი არის ქალებისთვის ელემენტარული პირობების შექმნა იმისთვის, რომ ისინი კიდევ უფრო მეტად განვითარდნენ. ვაანალიზებთ რომ საკმაოდ ნელა მიდი გენდერული თანასწორობის აღდგენისა და სწორი ბალანსის შექმნის პროცესი. ამიტომ თუ კონკრეტული ჩარევები არ მოხდა თუნდაც საკანონმდებლო დონეზე ან თუნდაც სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, ალბათ ძალიან ბევრი წელი დაგვჭირდება იმისთვის, რომ ქალები გახდნენ

OPEN MEDIA HUB

Supporting media professionals across the EU Neighbourhood area

	<p>ისეთივე აქტიურები და რეალიზებულები, როგორც შეიძლება ჩვენი მოსახლეობის მეორე ნაწილი - კაცები იყვნენ.</p> <p>09:28 – 09:39</p> <p>მარიამ ქოჩაშვილი - სოფლად ქალის გაძლიერებისათვის სუსტი სახელმწიფო პოლიტიკის მიუხედავად, მარიამი წარმატებით უთავსებს სეფელში მეცხვარეობას თბილისში ექთნის პროფესიას. გზა გრძელდება.</p>
CAMERA OPERATOR:	Davit Jibuti
VIDEO EDITOR:	Davit Jibuti
MUSIC RIGHTS: (If applicable)	